



კვლევითი საგრანტო კონკურსის
გამოცხადების, კვლევითი პროექტის
წარდგენისა და დაფინანსების პროცედურები

2019

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	2
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	3
მუხლი 3. საგრანტო განაცხადის დაფინანსების წყარო	3
მუხლი 4. საგრანტო კონკურსის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები	3
მუხლი 5. კვლევითი საგრანტო კონკურსის ინიცირება და გამოცხადება	4
მუხლი 6. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები	4
მუხლი 7. საკონკურსო განაცხადის კრიტერიუმები	4
მუხლი 8. საკონკურსო კომისიის ფორმირება	5
მუხლი 9. საპროექტო განაცხადის შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ.....	5
მუხლი 10. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები	6
მუხლი 11. უკუკავშირი საპროექტო განაცხადის ავტორ(ებ)თან	6
მუხლი 12. ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება	6
მუხლი 13. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)	6
დანართი №1	7
დანართი № 2	8
დანართი № 3	9
დანართი № 4	13
დანართი № 5	15
დანართი № 6	16

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ევროპის უნივერსიტეტში კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კვლევითი პროექტის წარდგენისა და დაფინანსების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პროცედურების დანერგვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს, აღნიშნული დოკუმენტის მიზნებისათვის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

კვლევითი საგრანტო კონკურსი – კონკურსი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის/კვლევითი პროექტის განხორციელების მხარდაჭერას;

გრანტი - წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის მიერ ან ევროპის უნივერსიტეტის სახელით მოპოვებულ ფინანსურ მხარდაჭერას/დაფინანსებას;

საკონკურსო კომისია - არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი დროებითი ორგანო, რომელიც განიხილავს უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ კვლევით საგრანტო კონკურსში განაცხადების დაფინანსების საკითხს და ამზადებს დასკვნას ფაქულტეტის საბჭოსთვის წარსადგენად;

განმცხადებელი - ნებისმიერი პირი, რომელიც დაფინანსებისათვის წარმოადგენს საპროექტო (საგრანტო) განაცხადს;

მკვლევარი –პირი, რომელიც აწარმოებს კვლევით საქმიანობას;

წამყვანი მკვლევარი - პირი (პირები), რომელიც (რომლებიც) ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობენ) სამეცნიერო კვლევით პროექტს;

აპელაცია -საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება;

სააპელაციო განაცხადი – საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების შეცვლის წერილობითი მოთხოვნა.

მუხლი 3. საგრანტო განაცხადის დაფინანსების წყარო

კვლევითი საგრანტო კონკურსის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა, რომლის ათვისებაც წლის განმავლობაში ხდება ეტაპობრივად ან ერთჯერადად.

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები

საგრანტო კონკურსის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა. საგრანტო კონკურსის ინიცირება და გამოცხადება;

- ბ. საკონკურსო კომისიის ფორმირება;
- გ. საპროექტო განაცხადის შეფასება;
- დ. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადანყვეტილების მიღება;
- ე. აპელაციის შემთხვევაში, მმართველი საბჭოს მიერ საბოლოო გადანყვეტილების მიღება;
- ვ. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა.

მუხლი 5. კვლევითი საგრანტო კონკურსის ინიცირება და გამოცხადება

1. კვლევითი საგრანტო კონკურსის ინიცირება, რომელიც შეესაბამება ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიას, შეუძლია ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრს.
2. კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ, გადანყვეტილებას, იღებს ევროპის უნივერსიტეტის რექტორი.
3. საპროექტო განაცხადების მიღების საბოლოო ვადა არ შეიძლება იყოს კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადებიდან 1 თვეზე ნაკლები.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირი

საგრანტო კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლება აქვს ევროპის უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს.

მუხლი 7. საკონკურსო განაცხადის კრიტერიუმები

1. საპროექტო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე მხოლოდ ელექტრონულად, მოთხოვნილი დოკუმენტების სრული პაკეტით. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.
2. საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:
 - ა. განაცხადის ფორმა (დანართი 1);
 - ბ. საპროექტო განაცხადი ევროპის უნივერსიტეტის ფორმატში (დანართი 2);
 - გ. განაცხადის ყველა მონაწილის CV/რეზიუმე (ევროპის უნივერსიტეტის ფორმატში (დანართი 3)) (ქართულად/ინგლისურად);
 - დ. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ქართულად/ინგლისურად);

- ე. უნივერსიტეტის სტუდენტის ცნობა (სტუდენტებისათვის) (ქართულად/ინგლისურად);
 - ვ. პროექტის განხორციელების განრიგი-საკვანძო ეტაპები (ქართულად/ინგლისურად);
 - ზ. პროექტის ბიუჯეტი და დასაბუთება (დანართი 4) (ქართულად/ინგლისურად);
 - თ. ინფორმაცია თანადაფინანსებაზე (არსებობის შემთხვევაში) – (ქართულად/ინგლისურად);
 - ი. თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებაზე - (ქართულად/ინგლისურად).
3. კომისია უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე უარყოს განმცხადებლის პროექტი, თუკი იგი ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, არასრულია ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის ფორმირება

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით. კომისიის წევრებს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს რექტორი. კომისიის წევრობის უფლება აქვს შესაბამისი სფეროს ექსპერტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა. დოქტორის ხარისხი;
- ბ. კვლევითი საქმიანობის გამოცდილება შესაბამის სფეროში;
- გ. პუბლიკაციები საპროექტო განაცხადის სფეროში.

მუხლი 9. საპროექტო განაცხადის შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ

1. საპროექტო განაცხადის შეფასების საფუძველზე, დასკვნის მომზადებას ახორციელებს საკონკურსო კომისია.
2. საპროექტო განაცხადი ფასდება ანონიმურად; შეფასების პროცესის დროს დაცულია კონფიდენციალურობა. ექსპერტების ვინაობა არ საჯაროვდება.
3. პირველ ეტაპზე, წინადადებები შესაფასებლად ეგზავნება თითოეულ ექსპერტს, რომლებიც ქულებით აფასებენ პროექტს და წარმოადგენენ შენიშვნებს.
4. კომისია დასკვნას ამზადებს ყველა ექსპერტების მიერ მოწოდებული წინადადებების საფუძველზე, მსჯელობის შედეგად.
5. კომისია საბოლოო დასკვნას, რომელსაც ხელს აწერს ყველა ექსპერტი, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.
6. საკონკურსო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა. კვლევითი პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;
- ბ. კვლევითი პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;
- გ. კვლევითი პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 10. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

საპროექტო განაცხადის შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმისათვის შესაბამისი ქულის მინიჭებით (დანართი #6). ყველა კრიტერიუმი შეფასებული უნდა იქნას შენიშვნების დართვით. შენიშვნები უნდა იძლეოდნენ საკმარის და მკაფიო საფუძველს შესაბამისი ქულების დასაწერად. თითოეული კრიტერიუმის შეფასების მაქსიმალური ქულაა - 10, ხოლო მინიმალური - 0. სულ შესაფასებელია 10 კრიტერიუმი. საპროექტო განაცხადმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 70 ქულა.

მუხლი 11. უკუკავშირი საპროექტო განაცხადის ავტორ(ებ)თან

1. თითოეული განაცხადის ავტორი იღებს შეფასების შემაჯამებელ ანგარიშს (შშა), რომელიც ასახავს როგორც კომისიის საერთო შეფასებას (მათ შორის, ცვლილებების შეტანის და გამონაკლის შემთხვევებში, სხვა პროექტთან შერწყმის შეთავაზებით), ასევე, თითოეულ კრიტერიუმის შეფასებასა და შენიშვნებს.
2. საპროექტო განაცხადის მიერ მინიმუმ 60 ქულის დაგროვების შემთხვევაში, პროექტის ავტორს მიეცემა დამატებითი შესაძლებლობა, საპროექტო განაცხადში განახორციელოს ცვლილებები შესაბამისი კრიტერიუმის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 12. ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადანყვეტილების მიღება

1. საკონკურსო კომისიის მიერ ფაკულტეტის საბჭოსთვის დასკვნის წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის საბჭო იმსჯელებს და მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადანყვეტილებას:
 - ა. საკონკურსო კომისიის დასკვნის სრულად გაზიარების შესახებ;
 - ბ. საკონკურსო კომისიის დასკვნის ნაწილობრივ გაზიარების შესახებ;
 - დ. საკონკურსო კომისიის დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმის შესახებ.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება.

მუხლი 13. ფაკულტეტის საბჭოს გადანყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. ფაკულტეტის საბჭოს გადანყვეტილების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში, საპროექტო განაცხადის ავტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის მმართველ საბჭოში გაასაჩივროს

ფაკულტეტის საბჭოს გადანყვეტილება, საკონკურსო კომისიის დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმის ან დასკვნის ნაწილობრივ გზიარების შესახებ.

2. თუ საჩივარი ეხება პროცედურული ხასიათის დარღვევებს, მმართველი საბჭო უფლებამოსილია თავად განიხილოს წარდგენილი საჩივარი და მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადანყვეტილება:

ა. ფაკულტეტის საბჭოს გადანყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ. ფაკულტეტის საბჭოს გადანყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადანყვეტილების მიღების შესახებ.

3. თუ საჩივარი საპროექტო განაცხადის შეფასების შინაარსობრივ ნაწილს ეხება, მმართველი საბჭო უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სააპელაციო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც მიიღებს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ გადანყვეტილებას. სააპელაციო კომისიის საქმიანობა რეგულირდება წინამდებარე დოკუმენტში საკონკურსო კომისიისათვის დადგენილი ნორმებით.

დანართი №1

დამტკიცებულია _____

განმცხადებელი:

სახელი, გვარი:

ID ნომერი:

აკადემიური ხარისხი:

მისამართი:

დაბადების თარიღი:

უნივერსიტეტი: ევროპის უნივერსიტეტი

მობ.

ფაკულტეტი:

ელფოსტა:

განცხადება

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი ევროპის უნივერსიტეტისსაგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის.

ზოგადი ინფორმაცია:

კვლევითი პროექტის მიმართულება:

კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა: (თვე)

უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილი თანხის რაოდენობა: (ლარი)

პროექტის სახელწოდება: -----

პროექტის რეზიუმე

(200 სიტყვა)

განცხადებაზე ხელისმწერით ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ ინფორმაციას. ასევე თანახმა ვარ, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადამოწმებასა და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი № 2

დამტკიცებულია.....

საპროექტო წინადადება

წინადადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

შრიფტის ზომა -10, გარდა ცხრილებისა, სადაც შრიფტის მინიმალური ზომა შეიძლება იყოს 8. ინტერვალი მწკრივებს შორის -1. A4 ფორმატი; გვერდების ველები - 15 მმ; Arial or Times New Roman_ან_Sylfaen

ზოგადი ინფორმაცია

პროექტის სახელწოდება

პროექტის ხანგრძლივობა

მოთხოვნილი თანხა (ლარი)

თანადაფინანსება (ლარი)

პროექტის ხელმძღვანელი(მკვლევარი)

პროექტის თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. კვლევითი პროექტი

ა. აქტუალობა/სიახლე/საკვლევი საკითხი

ბ.კვლევის მიზნები/ამოცანები

გ.კვლევის მეთოდოლოგია

დ. მოსალოდნელი შედეგები/სამეცნიერო ღირებულება

ე. კვლევის შედეგების გავრცელების/დისემინაციის გეგმა

2. პროექტის განხორციელება

ა. საჭირო მატერიალურ/ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები (დეტალური აღწერითა და დასაბუთებით)

ბ.პროექტის გეგმა-გრაფიკი

გ. პროექტის ბიუჯეტი

დანართი № 3

დამტკიცებულია.....

რეზიუმე
სახელი, გვარი

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

ელ.ფოსტის მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

განათლება/სამეცნიერო ხარისხი

სამეცნიერო ხარისხი	დანესებულების დასახელება	ქვეყანა	ძირითადი საგანი	დანების წელი	დასრულების წელი

ტრენინგი/სემინარი

ტრენინგი / სემინარი / კურსის თემატიკა	ორგანიზაციის დასახელება	დანების წელი	დასრულების წელი

პროექტები

პროექტის სათაური	თანამდებობა	პროექტის ხელმძღვანელი	დანების წელი	დასრულების წელი	დონორი

სამუშაო გამოცდილება

კომპანია/დანესებულება	დეპარტამენტის დასახელება	თანამდებობა	დანების წელი	დასრულების წელი

სტიპენდიები და ჭილდოები

სტიპენდიების/ჭილდოები	სტიპენდიების/ჭილდოების გამცემი მხარე	გაცემის



ს დასახელება		წელი

პირადი უნარები

ენები:	წერა	საუბარი	გაგება

კომპიუტერის ცოდნა:

სხვა





დანართი № 4

დამტკიცებულია.....

პროექტის ბიუჯეტი

Individual Financial Support (full-time)			Requested
Full Name (<i>First, Family, Patronymic</i>)	Monthly Rate	Number of Months	
TOTAL INDIVIDUAL FINANCIAL SUPPORT			
Equipment, Materials and Services (<i>Please list. All items must be justified in the Budget Narrative. If more space is needed, please list on a separate page.</i>)			-----
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
TOTAL MATERIALS AND SERVICES			
Travel (<i>Please describe in Budget Narrative.</i>)			-----
Domestic Transportation			
Domestic Per Diem			
International Transportation			
International Living Allowance/Per Diem			
Other Travel Expenses (e.g. visa fees, conference registration fees, etc.)			
TOTAL TRAVEL			
Other (<i>Please describe in Budget Narrative.</i>)			



TOTAL REQUESTED	
If Applicable: TOTAL CONTRIBUTIONS FROM OTHER SOURCES <i>(Please describe in Budget Narrative)</i>	

Budget Narrative:
Equipment, Supplies and Services:
Travel:
<i>Note:</i>



დანართი № 5

დამტკიცებულია.....

ევროპის უნივერსიტეტის

მმართველ საბჭოს

2019 წლის -----

მონაწილის

(სახელი, გვარი)

(მისამართი, მობილური, ელ.ფოსტა)

სააპელაციო განაცხადი

თბილისი,

დღე/თვე/წელი

მე ვარ საგრანტო კონკურსის (დასახელება) მონაწილე.

გთხოვთ განიხილოთ საგრანტო განაცხადის საკონკურსო პროცედურის დარღვევა ან/ საგრანტო განაცხადის შეფასების სისწორე. (მიუთითეთ კონკრეტული დარღვევა).

მიუთითეთ დარღვევის შინაარსი და ფორმები დეტალურად.

განმცხადებლის ხელმოწერა:



დანართი № 6

N	შეფასების კრიტერიუმები	ნიშანი
1	<p>პრობლემის მნიშვნელობა -</p> <p>პროექტი მიმართულია სახელმწიფო, რეგიონული, ეროვნული, ან საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის (პრობლემების) გადაჭრისკენ.</p> <p>წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს;</p> <p>მოიცავს ინტერ/მულტიდისციპლინარული ასპექტებს.</p>	10 ქულა
2	<p>მიზნები და ამოცანები:</p> <p>გადასაჭრელი პრობლემა ან გამოწვევა მკაფიოდაა განსაზღვრული და განმარტებული.</p> <p>ჰიპოთეზები და კითხვები ზუსტადაა ჩამოყალიბებული.</p> <p>პროექტის მიზანი მიღწევადია.</p> <p>ამოცანები რეალისტურია და მიზნების შესაბამისი.</p>	10 ქულა
3	<p>კვლევის მეთოდოლოგია:</p> <p>პროექტის მიზნების მისაღწევად შერჩეული მეთოდოლოგია მისაღებია და შესაფერისი.</p> <p>პროცედურები და ეტაპები დეტალურადაა განწერილი.</p> <p>მონაცემთა ანალიზის შერჩეული მეთოდები სათანადოა და შესაფერისი.</p> <p>გათვალისწინებულია კვლევის ეთიკის პრინციპები.</p>	10 ქულა
4	<p>გემოქმედება/გავლენა:</p> <p>შესაძლო შედეგებს გააჩნიათ სამეცნიერო ფასეულობა და გეგავლენა. პროექტი უზრუნველყოფს შესაბამისი კვლევის სფეროში არსებული ცოდნის შემდგომ განვითარებას.</p>	10 ქულა



	პროექტის შედეგები მოგვითანს რეალურ სარგებელს.	
5	<p>სამუშაო გეგმის რაციონალურობა და ეფექტიანობა:</p> <p>პროექტის გეგმის ყველა ნაბიჯი ზუსტადაა აღწერილი. გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი პროცედურა რისკების მართვის, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით.</p>	10 ქულა
6	<p>ბიუჯეტი და რენტაბელობა:</p> <p>საბიუჯეტო მოთხოვნა ადექვატური და მკაფიოდ დასაბუთებულია. ხარჯები შესაფერისი და გონივრულია.</p> <p>საერთო ბიუჯეტი დასრულებული და რეალისტურია პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.</p> <p>პროექტი ითვალისწინებს რესურსების შეზღუდულ და ეფექტურად გამოყენებას.</p>	10 ქულა
7	<p>პერსონალის/მკვლევარის შესაძლებლობები:</p> <p>წამყვანი მკვლევარის/მკვლევარების კვალიფიკაცია სათანადოა. გათვალისწინებულია მკვლევართა საკმარისი რაოდენობის ჩართვა.</p> <p>პროექტი ხელს უწყობს სტუდენტების და/ან ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიულ ზრდას/დამოუკიდებლობის განვითარებას.</p>	10 ქულა
8	<p>ინსტიტუციონალური გარემო:</p> <p>უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს შექმნა.</p> <p>წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციების რესურსები შეესაბამება შემოთავაზებული პროექტის მიზნებსა და ამოცანებს.</p>	10 ქულა
9	<p>კომუნიკაცია და გავრცელება:</p> <p>პროექტი გვთავაზობს სათანადო სტრატეგიას და ზომებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებს შორის შედეგების გასავრცელებლად. წარმოდგენილია პროექტის შედეგების გამოქვეყნების რეალისტური გეგმა სხვადასხვა სამეცნიერო</p>	10 ქულა



პუბლიკაციებისა და შეხვედრების მეშვეობით.	
--	--

